საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

“გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი”

ბრძანება

136-01/1-4-202212121451

N 136/ს 12/12/2022

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე და 61-ე მუხლების, ,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მე-5 მუხლის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 6 სექტემბრის N2-742 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის თამარ ლომიძის 2022 წლის 13 ოქტომბრის N539 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე, პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის გარემოს საინფორმაციო სამსახურის უფროსი ლიკა ფხოველიშვილი.

2. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ელექტრონულ რესურსზე (eiec.gov.ge) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცდეს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა და პასუხისმგებელი ერთეულები ამ პუნქტით გათვალისწინებული ცხრილის შესაბამისად:

№	ინფორმაციის დასახელება	განახლების ვადები	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული

1	**ზოგადი ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ**		
1.1	ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული სამსახური
1.2	ადმინისტრაციული ორგანოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (დებულება/წესდება, შინაგანაწესი)	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული სამსახური
1.3	ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში	ქვეყნდება ყოველწლიურად	ადმინისტრაციული სამსახური, განათლების პროექტების სამსახური, გარემოს საინფორმაციო სამსახური

1.4	ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	განათლების პროექტების სამსახური, გარემოს საინფორმაციო სამსახური
1.5	ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის, მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების (საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში – მათი ხელმძღვანელებისა და მოადგილეების) შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული სამსახური
1.6	ადმინისტრაციული ორგანოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული სამსახური
2	**საჯარო ინფორმაციის გვერდი**		

2.1	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონისა და ფაქსის ნომრები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული სამსახური
2.2	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული სამსახური
2.3	ადმინისტრაციული საჩივრის ფორმები/ნიმუშები და ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული სამსახური
2.4	ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში	ქვეყნდება ყოველწლიურად	ადმინისტრაციული სამსახური
2.5	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა	ქვეყნდება კვარტალურად	ადმინისტრაციული სამსახური
3	**ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს საკადრო უზრუნველყოფის შესახებ**		
3.1	ადმინისტრაციულ ორგანოში გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა), კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული სამსახური
3.2	ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს ადმინისტრაციულ ორგანოში კონკურსის ჩატარების წესებს	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული სამსახური
3.3	ადმინისტრაციულ ორგანოში დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში	ქვეყნდება კვარტალურად	ადმინისტრაციული სამსახური
4	**ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ**		
4.1	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა	ქვეყნდება კვარტალურად	ადმინისტრაციული სამსახური

4.2	ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით	ქვეყნდება კვარტალურად	ადმინისტრაციული სამსახური
4.3	ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ	ქვეყნდება კვარტალურად	ადმინისტრაციული სამსახური
4.4	რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები	ქვეყნდება კვარტალურად	ადმინისტრაციული სამსახური
5	**ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახე**		
5.1	ადმინისტრაციული ორგანოს დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტები	ქვეყნდება კვარტალურად	ადმინისტრაციული სამსახური
5.2	ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია (ნაზარდი ჯამით)	ქვეყნდება კვარტალურად და ყოველწლიურად	ადმინისტრაციული სამსახური
5.3	ინფორმაცია გაცემული სარგოს,	ქვეყნდება	ადმინისტრაციული

	დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად)	კვარტალურად	სამსახური
5.4	ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ცალცალკე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებული მივლინებების მიხედვით)	ქვეყნდება კვარტალურად	ადმინისტრაციული სამსახური
5.5	ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით	ქვეყნდება ყოველწლიურად	ადმინისტრაციული სამსახური
5.6	ინფორმაცია საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯის შესახებ ჯამურად	ქვეყნდება ყოველწლიურად	ადმინისტრაციული სამსახური
5.7	ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ჯამურად	ქვეყნდება ყოველწლიურად	ადმინისტრაციული სამსახური
5.8	ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი	ქვეყნდება ყოველწლიურად	ადმინისტრაციული სამსახური

5.9	ინფორმაცია განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ჯამურად	ქვეყნდება ყოველწლიურად	ადმინისტრაციული სამსახური
5.10	უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ ინფორმაცია	ქვეყნდება ყოველწლიურად	ადმინისტრაციული სამსახური
5.11	ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული გრანტების შესახებ, მათ შორის, გრანტის მიმღები, მიზნობრიობა, გრანტის მოცულობა და გადარიცხული ოდენობა	ქვეყნდება ყოველწლიურად	ადმინისტრაციული სამსახური
5.12	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია	ქვეყნდება კვარტალურად	ადმინისტრაციული სამსახური
5.13	სამართლებრივი აქტები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ	ქვეყნდება აქტის მიმღები ორგანოს მიერ ძალაში შესვლიდან 10 დღეში	ადმინისტრაციული სამსახური
6	**სამართლებრივი აქტები**		
6.1	ნორმატიული აქტები, რომლებიც	ქვეყნდება ძალაში	ადმინისტრაციული
	უშუალოდ არის დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობასთან	შესვლიდან 10 დღეში	სამსახური
6.2	ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც, ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია	ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში	ადმინისტრაციული სამსახური
7	**სხვა საჯარო ინფორმაცია**		
7.1	ადმინისტრაციული ორგანოს სერვისების შესახებ ინფორმაცია	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული სამსახური
7.2	ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინებაც ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული სამსახური

3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შეგროვებაზე და შემდგომში ელექტრონულ რესურსზე (eiec.gov.ge) განთავსებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის გარემოს საინფორმაციო სამსახურის უფროსი ლიკა ფხოველიშვილი.

4. ცენტრის სტრუქტურული ერთეულების უფროსებმა, ცენტრის ელექტრონულ რესურსზე (eiec.gov.ge) უკვე განთავსებული ინფორმაციის განახლების მიზნით, ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული ინფორმაცია ლიკა ფხოველიშვილს მიაწოდონ ამ ბრძანებით დამტკიცებული ნუსხით გათვალისწინებული პერიოდულობით.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის 2019 წლის 06 თებერვლის N5/ს ბრძანება.

6. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.

7. წინამდებარე ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე.

8. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თამარ ალადაშვილი

ცენტრის დირექტორი